№ 215

ხუთშაბათი, 16 ოქტომბერი, 1897 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1897

# ივერია

№ 215

ხუთშაბათი, 16 ოქტომბერი, 1897 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

პირველ ოქტომბრიდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია“ ჰღირს 3 მან. 50 კაპ.

**ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-გამულო ბანკის მმართველობა** ამითი აცხადებს, რომ ამა წლის გაზეთ „კავკაზის“ მე-247, 248 და 249 №№-სა და „ივერიის“ მე-194, 195 და 196 №№-ში დაბეჭდილ, სესხის გარდასახადთა დროზედ შემოუტანლობისა გამო სხვა-და-სხვათა მამულის გაყიდვის შესახებ განცხადებაში შეცდომით საჯარო ვაჭრობის დღედ დასახელებული იყო **23 ოქტომბერი**, უნდა ყოფილიყო-კი **24 ნოემბერი**, რადგან ამ დღეს მოხდება საჯარო ვაჭრობა გაზ. „კავკაზისა“ და „ივერიის“ ზემოდ დასახელებულს ნომრებში გამოცხადებულის მამულებისა.

(3—6.—2)

ტფილისი, 15 ოქტომბერი.

ჩვენ წინა წერილებში *) შევნიშნეთ იმ საბუთების ძალით, რაც გაგონილი გვაქვს, რომ თუ ჩვენში ქურდობა და ავაზაკობაა, უფრო ოსისა და თათრისაგან არის. სხვა თესლის კაცს ძალიან იშვიათად შეხვდებით ამისთანა ავკაცობის სარბიელზე. ამას რომ ვამბობთ, სახეში გვყავს მარტო ქალაქებ გარედ მოთარეშენი.

ჩვენ ისიც ვაჩვენეთ,—რა შინაგანი მიზეზი მოქმედებს, ჩვენის აზრით, რომ ოსი და თათარი გამოდის საქურდლად და საავაზაკოდ. ეს ის მიზეზია, რომ ოსს და თათარს შინ სამუშავო და გასამრჯელო იმისთანა არა აქვს-რა, რომ თავი ირჩინოს და დღევანდელ ცხოვრების ჭირ-ბოროტს გაუძლვეს. მთიელი ოსი და ჩვენებური თათარი, სხვა-და-სხვა გარემოებათა გამო, მარტო ხვნა-თესვაზეა მიმდგარი და აქედგან წარმოსდგება მისი ეკონომიური ულონობა, რომელიც გულს შინ არ უყენებს და თვალს გარედ აყურებინებს.

ჩვენ ამით იმის თქმა არ გვინდა, ვითომც ხვნა-თესვა იმისთანა მოქმედება იყოს, რომელიც აქეზებდეს კაცს საქურდლად და საავაზაკოდ. პირიქით, მხვნელ-მთესველი ერი უფრო მშვიდობიანი, საკუთრების პატივის-მცემელი, უფრო მორიდებულია და თავ-დაჭერილი. ხოლო ეგ იქ არის ესე, საცა ხვნა-თესვის ნაამაგევს ან შინა აქვს ბაზარი, ან გარედ და გზაც იეფი და კარგი აქვს საპალნის საზიდავად. ჩვენში სულ სხვაა. ჩვენში მხვნელ-მთესველს არც შინა აქვს ბაზარი, არც გარედ, არც გზა აქვს და არც კვალი, რომ ნაამაგევმა გზის ხარჯს გაუძლოს. ჩვენში დღეს მარტო ხვნა თესვა კაცს ვერ აცხოვრებს გაუჭირებლად. ხვნა-თესვის ნაამაგევს ფასი არა აქვს იმოდენა, რომ შრომის ხარჯი ამოაღებინოთ და თუნდა ჰქონდეს, უგზოუკვლობით ბაზარში ვერ გაიტანთ უიმისოდ, რომ ზედ თავისი არ წააგლისოთ. ცხოვრება-კი ჰთხოულობს ფულსა სახარჯოდ წუთის-სოფლის ჭირ-ბოროტის გასაძლოლად. შორს რომ არ წავიდეთ, საკმაოა თვალწინ ის დავიყენოთ, რომ დღეს რუსეთი პურს თითქმის უფრო იეფად იძლევა ჩვენში, ვიდრე ჩვენ შინ გვიჯდება, თვითონ გზაც უფრო უკეთესი და იეფი აქვს შორიდამ მოტანისათვის, ვიდრე ჩვენ ახლოდამ ბაზარში გასატანად და საიდამ სად მისწვდება ჩვენებური მხვნელ-მთესველი, რომ ფასების მეტ-ნაკლებობაში ცილობა რამ გაუწიოს. ჩვენში ხვნა-თესვის მოსავალს საოჯახო მნიშვნელობა თუ შერჩება, თორემ საალებ-მიცემო საგნად ძნელად-ღა გახდება იმოდენად მაინც, რომ ჩიტი ბრდღვნად ღირდეს და დევნა მეტი არ იყოს.

არ ვიცით, იქნება ხვნა-თესვის მნიშვნელობას ჩვენში მეტს ბრალსა ვდებდეთ, როცა ქურდობისა და ავაზაკობის მიზეზებზედ ვლაპარაკობთ, მაგრამ საკვირველი ერთი ეს უეჭველი ამბავია: რატომ იმ არემარედამ არ გამოდის ასე ხშირად ქურდი და ავაზაკი, საცა მკვიდრნი ხვნა-თესვის გარდა, სხვა მიწის მოქმედებასაც ეტანებიან, მაგალითებრ, მევენახობას, მებაღობას, აბრეშუმის მოყვანა იციან და სხვა ამისთანა. იქნება აქ სხვა რამ მიზეზიც იყოს, მაგრამ თვალში საცემად დღეს მარტო ის გარემოებაა, რომ სარჩო-საბადებელის საშოვარი ერთგან მარტო ხვნა-თესვაა, რომელიც გამრჯელს ხელს არ აძლევს და მეორეგან—ხვნა-თესვასთან ერთად სხვა გვარი მიწის-მოქმედებაც, რომლის ნაამაგევს ბაზარიცა აქვს, ფასიცა და რომელიც პურზედ და სხვა ამისთანაზე უფრო სუბუქი და ადვილი საზიდია, ან ბაზარში ფასი იმოდენა აქვს, რომ ჩვენებურ გზების ვაი-ვაგლახის ხარჯს და წვალებას იტანს.

თუ ეს ეკონომიური ულონობა, რომელიც თანა-სდევს ჩვენში მხნელმთესველს, დავიჯერეთ იმის თავ და თავ მიზეზად, რომ მთიელი ოსი და თათარი საქურდლად და საავაზაკოდ გამოდის, თვითონ ეს მიზეზი პირდაპირ გვანიშნებს, რა გზით და ღონისძიებით შესაძლოა ცოტად თუ ბევრად ამოიკვეთოს ჩვენში ხსენებული ბოროტ-მოქმედება და ავ-კაცობა. გამოუცვალეთ მთიელ ოსს და ელის თათარს იგი გარემოებანი, რომელიც დღეს ერთსაც და მეორესაც ჰხუთავს, მიეცით და ასწავეთ ერთსაცა და მეორესაც იმისთანა გასამრჯელო, რომელიც კაცს დღეს ხელს აძლევს სარჩო-საბადებლის საშოვარად, ასწავლეთ და თვალი აუხილეთ ქვეყნიერობაზე ცოტად თუ ბევრად, გაუკეთეთ გზები, ხიდები, ხელი შეუწყეთ ყოველს ახალს ცდასა, ახლის რასმის შემოღებას და მოყვანას, და სხვა ამისთანას და ქურდობა და ავაზაკობა, სულ თუ არ ამოიკვეთება, დიდს კლებაში კი შევა. ხოლო ყოველ ამას დიდი სამზადისი უნდა, დიდი დრო და მოხერხება, დიდი თანდათანობა, რადგანაც აწ არსებულს ვითარებას ყოველივე ეს შიგ გულ-ღვიძლში სწვდება და ძნელია კაცმა ერთის შეტევით და წინდაუხედავად შიგნეული გადმოუბრუნოს უკვე დამყარებულ ცხოვრების ავ-კარგიანობას. გარდა ამისა, ზოგიერთი ეს ღონისძიება ძალიან გვიან გამოიღებს თავისს ნაყოფს და მარტო შორეული მერმისი ჰნახავს მისს კეთილ შედეგსა. ეს იმას არა ჰნიშნავს, ვითომც ეხლავ არ შეუდგეს კაცი დასაწყისს იმის შიშით, რომ ჩვენ არ მოგვესწრობაო. გონიერი და წინ დახედული დასაწყისი წამლობისა საჭიროა ყოველთვის და ყოველს ჟამს, რაკი სატკივარი შენიშნულია და ცნობილი.

მეტის-მეტი იქნება ყოველივე ხსენებულ ეკონომიურ ულონობას დავაბრალოთ, როცა ქურდობისა და ავაზაკობის მიზეზს ვიკვლევთ. თუ ეკონომიური ულონობაა მიზეზი ქურდობისა და ავაზაკობისა ჩვენში, არიან იმისთანა გარემოებანიც, რომელნიც აქეზებენ და ასაზრდოებენ ამ ნაირ ავ-კაცობასა და რომელთა წყალობითაც გაჭირებული კაცი გეტაცებინება ხოლმე მაცდურებას რაც არ უთესნია, ის მომკოს. ერთი ამ გარემოებათაგანი არის იმედი—არავინ გამომეკიდებაო. ქურდს და ავაზაკს ჩვენში შიში არა აქვს, რომ მდევარი, ან მკვლევარი მეყოლებაო. თუ სადმე ქურდობა, ან ავაზაკობა მოხდება ხოლმე, მარტო გაქურდული და ჭირისუფალი შეუდგება თავში ცემას, სხვა არავინ არ იტკივებს თავს, თითქო ამისთანა ბოროტ-მოქმედება, როგორც ქურდობა და ავაზაკობაა, საკუთარი ჭირი იყოს ცალკე კაცისა და არა მთელის საზოგადოებისა, მთელის ერისა. ადგილის მოხელენი ან იმოდენა საქმეებით არიან დატვირთულნი, რომ ამაებისათვის ვეღარ იცლიან, ან ისე გულგრილნი, რომ ამისთანაებს ყურს არ ათხოვებენ.

ასეთი გულგრილობა იქიდამ წარმოსდგება, რომ არავინ მოჰკითხავს ხოლმე მოხელეს,—აბა რა ღონისძიება იხმარე, როგორ გაისარჯე ამა და ამ ქურდობის, თუ ავაზაკობის აღმოსაჩენად. მოხელე, რომელიც უფრო ფრთხილი და გასტატებულია კანცელიარულად, „პროტოკოლს“ შეადგენს, ამა და ამ დღეს ესა და ეს კაცი მოვიდა და გამომიცხადა, ხარი მომპარესო და ქურდისა და ნაქურდალის აღმოსაჩენად კანონიერი ღონისძიებაა მიღებულიო. ასე დაწყებული საქმე ამით თავდება. არც ღონისძიება, არც ხელის განძრევა, არც ადგილიდამ დაძვრა! საკმაოდ მიაჩნია „პროტოკოლი“-ს შედგენა, რომ თუ ვინიცობაა მოჰკითხონ, გასამართლებელი საბუთი ხელთა ჰქონდეს, საქმე მიწარმოებიაო. ქურდს რა უნდ და

*) იხ. „ივერია“ № 201.

# ფელეტონი

—

**სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა კიევში**

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

(შემდეგი *)

**VII**

მეფუტკრეობა

კიევის გამოფენაზედ მეფუტკრეობის განყოფილებაც ღარიბია. როგორც ვფიქრობ, კომიტეტს წინდაწინვე ჰქონია გადაწყვეტილი, სცოდნია, რომ მეფუტკრეთა წარმოდგენილი ნიმუშები ანუ ექსპონატები არ მოინდომებს დიდს სადგომს, შენობას და ამიტომ ამ დარგისთვის დაუტოვებიათ პაწია ოთახი სატყეო განყოფილების ფარდულში. სულ ორიოდე მეფუტკრეთა წარმომადგენელი იღებს მონაწილეობას, სასწავლებლები რომ არ ჩავთვალოთ. ამავე ნაწილს ეკუთვნის ცალკე, ერთს ქვევაზედ, გამართული საფუტკრე. ამ ადგილში აგებულია პაწია შენობა, სადაც მოთავსებულია სხვათა შორის, კავკასიის სადგურიდგან გამოგზავნილი ნივთები. მაგალითად, ფოტოგრაფიული სურათები: თათრული საფუტკრე (სკა) სოფ. აცხურში, ახალციხის მაზრაში, ადგილობრივი სკა ქვემო-ნიჩბისში, სკების ფარდული საუფლისწულო მამულში „გარაკელი“—ბორჩალოს მაზრაში, ქუთაისელ საჭურისის მიხეილ მარიშევის საფუტკრე, რომელიც გამართულია ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის მახლობლად, საფუტკრე დაბ. ხონისა, ხონის სასწავლებლისა, ლენქორანის მაზრის საფუტკრე, კავკასიის სადგურის სკა, საერთო სურათი ახ. ათონის სანთლის ქარხნისა და სხვ. ყველა ამას დიდის ინტერესით ათვალიერებდნენ უფრო, რასაკვირველია, ამ საქმეთა განსაკუთრებით მცოდნენი.

გაშლილ მიდამოზედ გამოფენილია ბევრი სხვა-და-სხვა გვარი როგო, რომელნიც დაფანტულია ერთს ქვევაზედ და წარმოადგენს პაწია სუფთა ლამაზს საფუტკრეს. აქა ჰხედავთ უბრალო როგოს და რთულს, გაუმჯობესებულსაც. მაგალითად, ხერსონის გუბერნიიდგან ჩამოტანილი აქვს მეფუტკრეობის მოყვარულს ა. ერიშჩუკს საუცხოვო რთული როგო. ეს როგო გაუმჯობესებულია თითონ ერიშჩუკის მიერ; როგოს შეადგენს 3 სწორ-კუთხიანი უჯრა, 30 ჩარჩო, სახურავები ჩარჩოებზედ, ასაშორებელი, ასასხლეტი ძირი გამოსაღებ ფიცრით უსუფთაობის გამოსატანად და ასასხლეტი სახურავი. შესანიშნავია გამოფენილი გადასატან-გადმოსატანი, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, მოძრავი როგო. ეს როგო მოგონილია განსაკუთრებით მცირე - რუსეთისთვის. აქვე მოყვანილია შენიშვნები ამავე საგნის შესახებ ამოკრებილი ცნობილ მეფუტკრეს თხზულებიდგან. ჩვენც გავიმეორებდით ამ მეფუტკრის აზრს, მაგრამ ჩვენის საზოგადოებისთვის—თუ არა ვცდები, დიდს საჭიროებას არ შეადგენს. ჩვეულებრივი როგო ჩამოტანილი აქვთ სხვა-და-სხვა სამეურნეო სასწავლებლებს; არც ესენია მაინც და მაინც იმდენად შესანიშნავი. გამოფენის საფუტკრეს უმთავრესი ნაწილი ეკუთვნის კიევის სამეურნეო საზოგადოებას, რომლის ერთი წევრთაგანი მეფუტკრეობის შესახებ ლექციებს კითხულობს კვირაში სამჯერ.

დავანებოთ თავი მშვენიერ გორაკზე გაშლილ საფუტკრეს და გავიცნოთ ოთახში დალაგებული ნიმუშები. აქ აწყვია სხვა და-სხვა ღირსების თაფლი სხვა-და-სხვა გვარ ჭურჭელში, თაფლის ღვინოები, სანთლები და ბევრ გვარი ხელსაწყო იარაღები, რაც-კი მეფუტკრისთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს. ზოგ ხელ საწყოს შესახებაც ვიტყვით ორიოდე სიტყვას. ვოლკოვინსკის და პიოტროვსკის ფირმას (ამათ შესანიშნავი საფუტკრე აქვთ კიევში) ბევრნაირი ნიმუშები ულაგია მაგიდაზედ. მაგალითად: 1) სიმაგრე ანუ ციხე დედა ფუტკრისათვის ცალკე მისამაგრებელი მონავრის გასადიდებლად და წმინდა თაფლის მისაღებად. იგი წარმოადგენს ოთხ კუთხ ყუთს, გაკეთებულს დახვრეტილს თუნუქიდან; ყოველკუთხივ დახვრეტილია რამდენისამე წყობად, როგორც სახურავი, ისე გვერდები და ძირიც.

2) მაღლობ ადგილიდან ფუტკრის გუნდის შესაკრებ-დასაჭერათ; ეს მეორე ყუთი ფულურო ხისაგან არის გაკეთებული, ჰგავს ციხე-სიმაგრეს, ქვედა ძირი არა აქვს, გარშემო დაბლა იქ-აქ ფიცარი გამოჭრილია, გვერდზედ მიმაგრებული აქვს თუნუქის ხელი;

3) ხის ბადე, რომელიც უნდა ჩაიდვას მალაზიასა და ბუდეს შუა. ამით თაფლის მონახეკარი მეტი მოდის. იგი სულ წარმოადგენს ხის ბადეს, ხისავე ჩარჩოში ჩასმულს. ასეთისავე სახისაა განგმანოვის ბადეც, იმ განსხვავებით, რომ ხის ბადის ნაცვლად, ხის ჩარჩოში ჩასმულია თუნუქის ბადე. 5) ვოლკოვონსკის გამოგონილი ყუთი ჩარჩოში მყოფ სანთლის გასაწმენდად (სადეზინფექციოდ), აგრეთვე იხმარება სამუშაო ყუთად საფუტკრეზედ სანთლიან და თაფლიან

*) იხ. „ივერია“ 193.

ბნელი ღამეო, და ამაზე მეტი სიბნელე განა იქნება-ღა? *)

საზოგადო სენი ჩვენებურ მოხელეობისა ის არის, რომ ქურდობა და ავაზაკობა მოხელეს დიდ დავალებულ საქმედ არ მიაჩნია. ბევრს უფრო მეტი შიში და რიდი აქვს უფროსისა, თუ თავისს დროზე უწყებები არ ჩააბარა, ვიდრე იმისი, რომ ქურდობისა და ავაზაკის კვალს არ გამოუდგა და ქურდი ხელიდამ წაუვიდა. ეს იმისათვის არის ესე, რომ უწყების არ-ჩაბარებას მოიკითხვენ ხოლმე და ქურდისა და ავაზაკის კვალის კვლევას და არ დევნას არა ვინი ჰკითხულობს, თუ ერთი განსაკუთრებული, წრეს გადასული ამბავი რამ არ მოხდა, როგორც, მაგალითებრ, თავ. თომა ციციშვილის სახლზედ დაცემა, ან რომელიმე დიდის კაცის გზაში გაძარცვა, ფოსტის გატეხა და სხვა ამისთანა. იმაზე კი, რომ გლეხ-კაცს უკანასკნელი ძროხა მოჰპარეს, წაართვეს, ან დახანჯლეს, ან მოჰკლეს — თავს არავინ იტკიებს. ამისთანაებში საკმაოდ მიჩნეულია, მოხელემ მოახსენოს ვისაც ჯერ არს, რომ ყოველი ღონის ძიება ხმარებულ იყო და ქურდი და ავაზაკი ვერ აღმოჩნდაო. მართლა იხმარა რამ ღონის ძიება, ან რაგვარი ღონისძიება იხმარა, სად რა ჩაიდინა, სად რა მოახდინა, სად რა გზები შეჰკრა, სად რა კვალს დაადგა, ამაებს კი არავინ ჰკითხულობს.

ჩვენის ფიქრით-კი თხაც რომ დაიკარგოს, პოლიციის ბოქაულმა თავი უნდა გამოიდოს, მთელი ის არე-მარე ფეხზე დააყენოს, დიდი და პატარა მისძრას-მოსძრას, წავიდ-წამოვიდეს საძებნელად, გეში და კვალი მოხაზოს და არ მოისვენოს, ვიდრე ყოველს საქმიანს და არა კანცელიარულს ღონისძიებას და ხერხს ზედ არ შეალევს, რომ ქურდი და ნაქურდალი ხელთ იგდოს, ან საბუთიანად დარწმუნდეს, რომ საქმეს აღარა ეშველება-რა. ამისთანაებში მარტო ერთი მდევრობა, ხმაურობა და განგაშიც დიდი რამ არის, რომ ქურდობას და ავაზაკობას მადა და ხალისი დაეკარგოს ცოტად თუ ბევრად და ცოტად თუ ბევრადვე კბილი მოეჭრას. ესეც ღვთის წყალობა იქნება, თუნდ მაგ ხმაურობისა და განგაშისაგან სხვა არა გამოვიდეს-რა. ისე არაფერი არ ამხნევებს ქურდსა და ავაზაკსა, როგორც ყურის მოყრუება მოხელესი და დაუდევრობა. აქ, რასაკვირველია, ტყუილ უბრალო ფაცა-ფუცს და ციებ-ცხელებას ადგილი არა აქვს, რადგანაც სიცილის მეტს სხვას არ რას გამოიწვევს. აქ საჭიროა მართალი, საქმიანი გამრჯელობა და მოხერხება და არა ტყუილ უბრალო ალიანქოთი. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ყველა ხერხი და ძლიერება ადგილის მოხელეობისა ზედ შეელევა ქურდისა და ავაზაკის გზას, თუ რამ ბოროტი და ავ-კაცობა მოხდა სადმე და მაშინ მშვიდობით გადარჩენის იმედი ისე ადვილად ვერ აიყოლიებს ბოროტ-მომქმედს და არ წაიტყუებს, როგორც დღეს არის ჩვენდა სამწუხაროდ.

ყველამ უნდა გული დააჯეროს საქმით და მაგალითებით, რომ ქურდობა და ავაზაკობა დიდ ბოროტად მიაჩნია მოხელეობას, რომ ქურდი და ავაზაკი უდევნელად, უძებნელად ვერ გადურჩება, რომ ამ დევნასა და ძებნაში უნდა გამოიჩინოს მოხელემ თავისი ღირსება და სიკეთე და თვით უფროსი მოხელეობა ქურდის დევნასა და აღმოჩენაში უნდა ჰპოულობდეს ღირსებას თავისის ხელ-ქვეითის გულმოდგინეობისას და ხერხიან გარჯისას.

რომ ამისთანა გულმოდგინებამ ჩვენში ფეხი აიდგას ავ-კაცობის ასალაგმავად, პოლიციის მოხელე ყოველთვის უნდა იყოს „на чеку", როგორც რუსები რომ იტყვიან, როგორც საზოგადოების, ისეც უფროსების წინაშე. აი, ჩვენის ფიქრით ამისათვის რა არის საჭირო: წესად დაიდოს, რომ მაზრის უფროსმა, თუ მის არე-მარეში ავაზაკობა ან ქურდობა რამ მოხდა, სულ ერთია თხა მოიპარეს, თუ დიდი რამ საუნჯე — მაშინვე დაუყოვნებლოივ აუწყოს გუბერნატორს სად და როდის რა მოხდა, რა ღონისძიება იქმნა მიღებულ ბოროტ-მოქმედების აღმოსაჩენად, რაგვარ მოიქცნენ მაზრის უფროსნი და მისნი ხელქვეითნი ავ-კაცობის გამომჟღავნების პირველ ხანებში, სად რა გეშია და კვალი მიტანილი, ვისზედ არის გუმანი აღებული და სხვა ამგვარი, რაც ცხადად ჰყოფს საქმიანს მოქმედებას მოხელისას. ვიდრე საქმე ან ისე, ან ასე გათავდებოდეს, ყოველი ახალი ვითარება მისი უნდა ეუწყოს გუბერნატორს. ამ გზით უმაღლესს მოხელეობას თვალი ეჭირება, ზედა-მხედაობა ექმნება ვინ და სად როგორ ირჯება, როგორ ასრულებს თავისს მოვალეობას, როგორ გულმოდგინებას და მოხერხებას იჩენს და ყოველ ამის შესაფერად მოექცევა მოხელეს. ყოველივე უქმობა, ყოველივე დაგვიანება, ყოველივე მოუხერხებლობა ამისთანა შემთხვევაში უნდა სასტიკად მოეკითხოს ხელ-ქვევითსა და ეს შესაძლოა მარტო მაშინ, თუ ამნაირ მიწერ-მოწერას საქმიანად შიგ ჩამხედავი ეყოლება და არა კანცელიარული გამკითხავი.

ეს თვალ-ყურის ჭერა თვით ხელქვეითსაც აღარ დააძინებს, ყურებს ააცქვეტინებს და ბოროტ მოქმედების აღმოჩენას დიდ-მნიშვნელობიან საქმედ გახდის, როგორც მის საკუთარ თვალში, ისეც მკვიდრთა თვალშიაც. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ დაუზარებელი, სწრაფი, წინდახედული და ფიცხელი დევნა ქურდისა და ავაზაკისა მოხელეთაგან თვით ხალხსაც გაამხნევებს ბოროტ-მომქმედთა სადევნელად, რაკი ჰნახვენ, რომ თვით მოხელეობა ცეცხლ-მოკიდებული ირჯება და გამხნევებულ ხალხში დიდს შველას და შემწეობას იპოვის მოხელეობა. იძახიან, ხალხი არა ჰშველის მოხელეობასა, ხელს არა სძრავსო. ამას სხვა-და სხვა მიზეზი აქვს და სხვათა შორის ის, რომ ხელს არა სძრავს თვით მოხელეობა და ხალხს სხვა არა დარჩენია-რა, გულხელი დაიკრიბოს და არ მიეცეს ქურდს და ავაზაკს ან დასახანჯლავად, ან სასიკვდილოდ, ან ცეცხლწასაკიდებლად, იმიტომ-რომ უქმობა მოხელეთა ყოველ ამისაგან არა უშიშარ ჰყოფს.

იტყვიან, — ეს მიწერ-მოწერაც რომ ზურგზედ ავკიდოთ სოფლის პოლიციასა, სხვა საქმისათვის როგორღა მოიცალოსო. ჩვენის ფიქრით, სხვა მიწერ-მოწერისაგან რომ შეღავათი მიეცეს პოლიციას და ამ საქმეზე მოაცალონ, ქვეყანას თუ არ მოემატება, არა დააკლდება-რა. მკვიდრთა უშიშარ-ყოფა სიცოცხლისა და ქონების მხრივ ერთი უდიდესი, თუ არ უპირველესი, მოვალეობაა სახელმწიფოსი. უამისოდ არც წინ-სვლა ერისა, არც წარმატება რაშიმე შესაძლებელი არ არის. ამიტომაც ბევრმა რამ სხვამ ამ უშირარ-ყოფას თავისი უპირატესობა და ადგილი უნდა დაუთმოს, თუ სხვა ღონე არ არის. თუ მაინც და მაინც პოლიციას სხვა უფრო დიდი და მძიმე საქმე აქვს, მაშინ მკვიდრთა უშიშარ-ყოფას სხვა პატრონი, სხვა მოხელეობა უნდა გავუჩინოთ და არ უნდა დავტოვოთ ეს საქმე იმათ ხელში, ვისაც იმისათვის დრო და მოცალეობა არა აქვს. ეს აშკარაა.

სხვა ამ გვარს მიზეზებს შემდეგ წერილში ჩამოვთვლით.

*) ამის დამწერმა ზოგიერთი მაგალითებიც იცის იმისი, რომ სოფლის პოლიციის ბოქაულს ამისთანა პასუხი ეთქვას გაქურდულისათვის: „მე ხომ შენი მეძროხე არა ვარ, შენს ხარ-კამეჩს ვუყარაულოვო, წადი, დამეკარგეო". არ არის სულ ორი კვირა, რაც ერთს სოფელში ერთი უღელი კამეჩი მოჰპარეს გლეხ-კაცებს. მინდორში ვიღასაც დაეტოვებინა ცარიელი ურემი, შეაბეს თურმე მოპარული კამეჩები ქურდებმა ამ ურემში და გაუდგნენ გზას. კამეჩების პატრონები აქედ ეცნენ, იქით ეცნენ და, რა თქმა უნდა, ვერას გახდნენ.—რატომ პოლიციის ბოქაულს არ გამოუცხადეთ, ვუთხარით ჩვენ.—განა არაო, გვიპასუხეს. ორჯელ დავაპირეთ, მივედით კიდეც სახლში და ვეღარ შევბედეთ შიშით. ერთი ახირებული კაცია, ლანძღვა-თრევით გამოგვყრიდაო. მოდით და ამას იქით იკითხეთ: ქურდობა და ავაზაკობა რად არის თქო ჩვენში? მაშ რა იქნება, საცა პოლიციის ბოქაულამდე კაცს შიშით ვერ მიუღწევია.

# ახალი ამბავი

—

⁂ ხმოსანს გ. ზ. მირზოევს წარუდგენია ოქმში აღსანიშნავად ქალაქის გამგეობისათვის თავისი მოსაზრებანი საბჭოს 6 ოქტომბრის კრების შესახებ, როდესაც არჩეულ იქმნა ქალაქის მოურავად ბ-ნი ევანგულოვი. ბ ნი მირზოევი, სხვათა შორის, სწერს, რომ თავმჯდომარეს კრებისას ნება არ უნდა მიეცა ლაპარაკისა დასახელებულ კანდიდატების ღირსება-ნაკლულევანების შესახებ („სულ-მოკლე კანდიდატია" — თავ. გ. მ. თუმანოვის გამო; „ღირსია თეთრის კენჭისაო" — გ. გ. ევანგულოვის გამო) და შემდეგ, როდესაც საბჭომ მოილაპარაკა თავ. თუმანოვის ყუთის აღების შესახებ, კენჭი კი არ ჩამოუტარა ამ საგანს, პირდაპირ, ლაპარაკის გათავების შემდეგ, გამოაცხადა, რომ ვსარგებლობ ჩემის უფლებით და ვიღებ თ. თუმანოვის ყუთსაო, მაშინ როდესაც წინადაც შეეძლო ესარგებლნა ამ უფლებით და ნება არ მიეცა ლაპარაკისაო.

⁂ ხელოსანთა მოურავის არჩევანი დანიშნულია 23 ოქტომბრისათვის.

⁂ წელს ტფილისის საბაღოსნო სასწავლებელში სწავლა დაამთავრა 16 მოსწავლემ, მათ შორის 3 რუსია 4 სომეხი და 9 ქართველი. ქართველები არიან: ივ. გულისაშვილი, ალექსანდრე ჩიქოვანი, ალექსანდრე თოხაძე, სიმონ მურმანიშვილი, ჯანდიერი იოსები, ჯანდიერი ივანე, თომა მხეიძე, დავით ლევანიძე, იოსებ რატიშვილი. მოსწავლეთა გამოცდა გათავდა 14 ოქტომბერს, მისაღები ეგზამენები დაიწყო ამ თვის 15—დგან.

⁂ გუშინ დაიწყო კავკასიის ბაღოსნობის პირველი გამოფენა. გამოფენის ნახვა შეიძლება ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან საღამოს 4 საათამდე. შესვლის ფასი 20 კაპ. იმ მოსწავლეებს, რომელთაც მოსწავლეთა ტანისამოსი ეცმებათ, ან სასწავლებლის ზედამხედველებთან ერთად მივლენ, შესვლა უსასყიდლოდ შეუძლიანთ. გამოფენის უსასყიდლოდვე ნახვა შეუძლიანთ პატარა ბავშვებს, რომელნიც 10 წლისაზედ მეტნი არ არიან.

⁂ სამკურნალო გამგეობას გაუგზავნია ტფილისის მაზრის სოფ. წინწყაროსა და დიდს ენაგეთში საგუბერნიო ექიმის თანაშემწე მაჰავარიანი ამ სოფლებში გავრცელებულ ციებ-ცხელების წინააღმდეგ შესაფერ ღონისძიებათა მისაღებად.

⁂ ქალაქის სასაკლაოში ერთს ღორს ტრიხინა აღმოაჩნდა. წელს ეს ჯერ პირველი ტრიხინა აღმოაჩინეს.

---

ჩარჩოებისათვის. ყუთი უბრალო ოთხკუთხია, მხოლოდ დაბლა ფიცარი შუა ალაგას გამოჭრილია და იმ ალაგას გამოფენილია წვრილ მავთულის ქსოვილი ბადე. გამოჭრილი ადგილი შეედრება მთელ ფიცრის ერთ მეათედს, და სხვა ბევრნაირი სახმარი იარაღები. ამავე ფირმას მეორე მაგიდაზედ ულაგია შუშის დიდ ყუთებში მარტო ლობიოს ხის ყვავილების თაფლი (მშვენიერი ფერი და შეხედულობა აქვს), მოლეული თაფლი; მოლეული თაფლი, რომლის დამზადების დროს დედა ფუტკარი დამწყვდეული ყოფილა ციხეში (საუცხოვოდ დამზადებული თაფლია); აქვე ცალკე შუშის მოზრდილს უჯრაში ლამაზად, თანდათანობით გამოსახულია ფუტკრის განვითარება, ცოტა ქვემოდ ქინძისთავებით მიმაგრებულნი არიან გროვა ფუტკრის სხვა-და-სხვა მტრებისა, მწერებისა და სხვ. ამ კოლლექციის გვერდით სდგას მაღალი შუშა, რომელიც ავსებულია სპირტით, შუშაში ჩადებულია ხის ნაჭერი და ზედ მიკრულია ნიმუშები ფუტკრის თანდათან განვითარებისა: 1) კვერცხი; 2) გადიდებული კვერცხი; 3) თეთრად შებუმბლული (სულ თეთრი) პირველი სახე ფუტკრისა; 4) დედა ფუტკარს შემდეგ ეძლევა ყავის ფერი და 5) უკანასკნელი სახე—ფუტკარი.

უმანის სამეურნეო სასწავლებელს გამოუგზავნია თითქმის ყოველ გვარ იარაღისა და როგოს დაპატარავებული ნიმუშები. ძლიერ მდიდარს კოლლექციას წარმოადგენს ეს უკანასკნელი. ნიმუშების ჩამოთვლა მეტად მიმაჩნია, რადგან ამათში არა ჩვეულებრივ რუკას გარდა არაფერი არ არის. რუკა, შედგენილი უმანის სასწავლებლის მასწავლებელის მიერ (ბ ნი მაქსიმჩიკი), გვაგებინებს, — რამდენი მეფუტკრე და ფუტკრის ოჯახი არის მთელს უმანის მაზრაში, საზოგადოდ როგორ მიდის მეფუტკრეობა ამ მაზრაში. მთელს უმანის მაზრაში მეფუტკრე, რომელთა გავრცელებას დიდს თვალ-ყურს ადევნებს სასწავლებელი, ყოფილა 1626, ამათ ჰყოლიათ 42593 ფუტკრის ოჯახი. მეფუტკრეობას უმანის მაზრაში შემოაქვს 74,379 მან. 75 კაპ., ე. ი. ერთ მეფუტკრეს 47 მანათი. მეტი არ იქნება გავიცნოთ უმანის სასწავლებლის საფუტკრის მდგომარეობა. სასწავლებელს არ შეუძლიან შეინახოს ერთის ან ორის რიგის როგო, რადგან იმის წარმოებას სამეცნიერო სამოსწავლო ხასიათი აქვს; ამიტომ ფუტკრები დანაწილებულნი არიან სხვა-და-სხვაგვარ როგოში. სულ ფუტკრები შეადგენენ 85 ოჯახს. პირველი ადგილი როგოებში უჭირავს დუბინის სისტემას. არის აგრეთვე რუტას, ლევიცკის, დადანის და სხვათა სისტემის როგოები. საფუტკრეს აქვს საკუთარი მუზეუმი, სადაც ყოველ გვარი მეფუტკრესთვის საჭირო ნიმუშები მოიპოვება. სასწავლებელს მეფუტკრეობისთვის ცალკე სახელოსნოცა აქვს; აქ მუდამ მუშაობს დურგალი, რომელიც ამზადებს როგოებს და საზოგადოდ ყოველგვარს იარაღებს. გაშენებულია ერთ ნახევარ დესეტინაზედ 60 ნაირამდე ფუტკრების საკვები მცენარეები. უმანის სასწავლებელში მეფუტკრეობას ძლიერ მოკლედ ასწავლიან (პროგრამმის თანახმად), მაგრამ მოსწავლეთა შორის მუდამ მოიძებნება რამდენიმე ისეთი, რომელიც ამ საგანს დიდის ყურადღებით ეპყრობა და მეფუტკრეობის ვრცლად შესწავლის მსურველია. ამ ზაფხულში ათი ასეთი მოსწავლე მთელი ზაფხული მუშაობდა, როგორც ადგილობრივი მასწავლებელი-მეფუტკრე ამბობს.

უმანის საფუტკრე მარტო მოსწავლეთა მოედანად როდია გადაქცეული, აქ მოდიან პრაქტიკაზე სოფლის მასწავლებლები, რომელნიც ჩამოდიან მეურნეობის ყველა დარგის გასაცნობად და, სხვათა შორის, მეფუტკრეობის შესასწავლად. ხშირად სულ კერძო კაცებიც მიდიან სხვა-და სხვა პრაქტიკულ რჩევის მისაღებად; როგორც ანგარიშიდგან სჩანს, ყოველ ზაფხულობით კერძო კაცთა რიცხვი ორასს სულამდე იქმნება. ვისაც ზემოხსენებულს სასწავლებელში უსწავლია და უნახავს იგი, იმან კარგად იცის, რა სარგებლობა მოაქვს უმანის საფუტკრეს, დანარჩენთათვის-კი ჩვენ მიერ ნათქვამიცა კმარა.

### სამეცნიერო განყოფილება.

სამეცნიერო განყოფილება იმდენს სხვა-და-სხვა გვარობას წარმოადგენს, რომ საიდგან დავიწყო აწერა, არ ვიცი. ყველა გასინჯულ წესს ისევ კატეგორიებად დანაწილება სჯობს ბევრად და ჩვენც ასე მოვიქცევით. თუმცა კიდევ დაგვრჩა რამდენიმე დარგი მეურნეობისა აუწერელი, მაგრამ იმას სამეცნიეორო განყოფილების შემდეგ შევეხებით. სხვა-და-სხვა საგნის ისტორიის შედგენის დროს ვსარგებლობთ იმ წყაროებით, რომელიც საზოგადოდ ყველა ჟურნალ-გაზეთის თანამშრომლებს შორის ტრიალებდა. მაგალითად, როგორც ვრცელი თხზულებაა „производительныя силы Россiи" და სხვ.

### ექიმობა და ბეითლობა.

სამეცნიერო განყოფილებაში საბეითალო ნიმუშები და ცნობები უფ-

⁂ ამ დღეებში კრება მოხდა გორის მაზრის მემამულეთა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობისა. ამხანაგობის დირექტორმა-გამგემ თავ. კ. მ. ამირაჯიბმა უარი განაცხადა დირექტორობაზედ და იმის მაგიერად არჩეულ იქმნა თავ. ი. გ. მაჩაბელი. ახალს დირექტორს წელიწადში 2 ათასი მანათი ჯამაგირი დაენიშა.

⁂ მომავალ თვეში სახელმწიფო საბჭო გადასწყვეტს, გარდაეცეს თუ არა სამხედრო სამინისტროს აბასთუმნის სამკურნალო წყლების მოვლა-გამგეობა. სამხედრო სამინისტროს განზრახვა აქვს აგრედვე აბასთუმანში გამოიყვანოს წყლის მილი და ეს დაბა ელექტრონით გაანათოს.

⁂ მთავრობას განზრახვა აქვს დააარსოს ახალი თანამდებობა, რომელიც ჩაჰბარდება კავკასიის საბეითალო საქმეთა ინსპექტორს. ეს ინსპექტორი დაემორჩილება მხოლოდ კავკასიის მთავარ მართებელს და ისეთივე უფლებანი მიეცემა საბეითალო საქმეში, როგორიც ეხლა აქვს კავკასიის სამკურნალო ნაწილის მმართველს.

⁂ მეურნეობისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს ამიერ-კავკასიაში დააარსოს დაბალი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები, თითო გუბერნიაში თითო სკოლა მაინც, და ქ. ტფილისში საშუალო სამეურნოე სასწავლებელი.

⁂ გაზ. „ს. ო." სიტყვით, ამ ჟამად პეტერბურგში არის ბრიუსელის სამთო ინსტიტუტის დირექტორი, ცნობილი გეოლოგი, პროფესორი მაკკეი, რომელიც პეტერბურგიდგან კავკასიაში ჩამოვა კახეთსა და გროზნაში ნავთის ადგილების გამოსაკვლევად. პროფესორი მაკკეი გამოგზავნილია ბრიუსელში ახლად შემდგარის საზოგადოების მიერ, რომელსაც აზრად ნავთის საქმის წარმოების აღება აქვს და რომლის თანხაც 3 მილიონი ფრანკია.

⁂ სატახტო ქალაქების გაზეთები იუწყებიან: გუბერნატორთა უმრავლესობამ ის აზრი წარმოსთქვა, რომ უნდა გაუქმებულ იქმნას ხელოსანთა, „მეშჩანთა" და ვაჭართა წოდებანი და ამ სამის წოდების ნაცვლად ერთი იქმნას შემოღებული, სახელდობრ მოქალაქეთა წოდება და ამ წოდების გამგეობა მიენდოს საქალაქო თვით-მმართველობასაო.

⁂ ოზურგეთი. „აქაურ დედათა სასწავლებლის მასწავლებელი ქალები დიდს გაჭირვებაში არიან. აგერ რამდენიმე თვეა, რაც ჯამაგირი არ მიუღიათ. სამზრუნველო კომიტეტი, რომელიც ეხმარებოდა ფულით ზემოხსენებულს სასწავლებელს, აღარ არსებობს.

„ოზურგეთში საეკკლესიო სამრევლო სკოლის დაარსების საქმე გადაწყდა: ადგილობრივმა მცხოვრებლებმა შეკრიფეს 600 მანათი ადგილის შესაძენად სკოლისათვის. ქალაქი ამ სკოლას წელიწადში 200 მანათს დაჰპირდა". („ნოვ. ობოზ.").

⁂ ქუთაისი. აქ მოვიდა საფრანგეთის საერო განათლების მიერ გამოგზავნილი არქეოლოგი ბარონი დე-ბაი, რომელიც ქუთაისიდგან ბათუმში წავა.

⁂ ფოთი. 13 ოქტომბერს, შუადღის 12 საათსა და 30 წამზედ, როდესაც საქონლის მატარებელი № 65 სადგურში შედიოდა, კარა-ახმედოღლის უნდოდა მეორე ლიანდაგის მხარეს გადაერბინა, მაგრამ ვერ მოასწრო, ქვეშ მოჰყვა ორთქლმავალს, რომელმაც ორივე ფეხი მუხლებამდის მოსწყვიტა. დაშავებული ტფილისის საავადმყოფოში გაგზავნეს.

⁂ აღსტაფა. 13 ოქტომბერს ტფილისიდგან ბაქოში მიმავალ სახალხო მატარებლიდგან ერთს მგზავრს ქუდი გადაუვარდა. მგზავრი, თუმცა მატარებელი გაქანებული მიდიოდა, გადმოხტა ქუდის დასაჭერად, მაგრამ ვაგონმა ისე ძლიერ წაჰკრა, რომ რამდენისამე საჟენის სიშორეზედ გადაისროლა საბრალო მგზავრი. მატარებელი მაშინვე გააჩერეს და გულწასული მგზავრი, რომელიც ფერშალმა გონს ვერ მოიყვანა, მეორე საქონლის მატარებლით ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. ამ მგზავრის ვინაობა არ იციან.

⁂ სოფ. მცხეთა. აი ერთი მაგალითი იმისა, თუ რანაირად ეპყრობიან მოსამსახურედ აყვანილს სოფლის ბიჭებს ქალაქის ვაჭრები. 10 ოქტომბერს სად. მცხეთაზედ გაჩერებულიყო ტანისამოს დაგლეჯილ-დაფლეთილი პატარა ბიჭი და კაკვაკებდა საცოდავად. ვკითხე, აქ რას აკეთებ, რატომ სახლში არ წახვალ მეთქი და აი რა მიამბო: მე ქალაქში ვიყავი მოსამსახურედ ა—თან, რომელიც დაჰპირდა მამაჩემს, რომ შენს შვილს კარგად ჩავაცმევ და დავხურავ, წერა-კითხვას ვასწავლი და მერე ჯამაგირს დავუნიშნავო. ის კი არა, დღე ერთი იყო და ცემა-ტყეპა აუარებელი. გუშინ ქურქელი დამემტვრა რაღაც საუბედუროდ და ამან უფრო ძლიერ გააცეცხლა ჩემი ბატონიო. მომდგა, ჯერ კარგადა მცემა და მერე გამამაგდო, დაიკარგე და თვალით აღარ დამენახოვო. მეც მოვაგენ როგორც იყო რკინის გზას, ლიანდაგს გამოვყევ, ამოველ აქ მცხეთაში და ახლა არ ვიცი, რომელის გზით წავიდე დუშეთისკენაო.

⁂ 15 ოქტომბერს, დილის 9 საათზედ, მადათოვის კუნძულზედ, ქალაქის მამულში გამართულს ფეხის ადგილში უპოვნიათ მკვდარი კაცი. აი გარემოება ამ საქმისა: ქალაქის ერთი მუშათაგანი მიხაილ მასლოვი, ამ ადგილას მივიდა და კარების გაღება დააპირა, მაგრამ შიგნიდგან დაკეტილი დახვდა. შემდეგ გარედგან შეხედა და დაინახა, რომ კიდეს კაცი გდია. მაშინვე პოლიციელს დაუძახა და იმასთან ერთად კარები გატეხა. შიგ რომ შევიდნენ, მკვდარი რუსი ჰნახეს, ახალგაზდა 22—23 წლის კაცი. როგორც ეტყობოდა, იგი ამ ადგილას შესულა, ჩაუკეტნია კარები და მომა სუნით თავი მოუკლავს. მკვდრის გვერდით წერილი იპოვნეს, რომელშიაც თვით მკვდარი მოკითხვას სწერს თავის მეგობარს და თავისს მდგომარეობას აუწერს. წერილს ქვეშ აწერია „ზასიმე დრუნკუსკი". მკვდრის გვამი სანატომიო თეატრში წაიღეს.

⁂ უსინათლოთა სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების საბჭო გვაცნობებს, რომ განყოფილებას კასსაში ჰქონდა აგვისტომდის 35,719 მან. 46 კაპ., აგვისტოსა და სექტემბერს-კი შემოუვიდა 8,048 მან. 79 კაპ. ამავე თვეებში დაიხარჯა 1,855 მ. 55 კაპ. და 1897 წ. 1 ოქტომბრისთვის განყოფილებას ჰქონდა 41,912 მ. 70 კაპ. ამ თანხიდგან ტფილისის სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში ინახება 8,912 მან. 12 კაპ., ამავე ბანკის შემნახველ კასსაში 1,870 მ. 7 კ., იქავე სარგებლიანი ქაღალდები 31,129 მ. 72 კაპ. და სამზრუნველოს განყოფილების კასსაში 79 კაპ. სამზრუნველოს განყოფილების თვალის საავადმყოფოში აგვისტოსა და სექტემბრის განმავლობაში მისულა 835 კაცი ახალი ავადმყოფი და წინანდელ ავადმყოფებთან ერთად სულ 3,888-ჯერ მიუღიათ წამალი.

## შეცდომის გასწორება

გუშინდელს „ივერია"-ში (№ 214) დაბეჭდილ ბ-ნ ა. ნათაძის წერილს ასეთი სათაური აქვს: „პასუხად ი. გ—ს", ის წერილი-კი, რომლის პასუხადაც იგია დაწერილი მოწერილი იყო ამ გვარად: „ი. გ—რი".

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. იანეთი** (ქუთაისის მაზრა). ეს სოფელი მდებარეობს სად. კოპიტნარისა და სად. სამტრედიის შუა. აქ ამ თხუთმეტიოდე წლის წინად. ბ-ნ ნ. ნიკოლაძის მეცადინეობით გაკეთდა ბაქანი, რომლითაც ჩვენს სოფელს და აგრეთვე მახლობელ სოფლებს დიდი სარგებლობა მიეცათ. ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, გვეგონა სწორ სადგურადაც გაკეთდებაო, მაგრამ მოლოდინი გაგვიცრუვდა. დღეს ჩვენს ბაქანის მოაჯირი დალპა, მაგრამ მოაჯირი თუნდ კარგი იყოს, აბა რას გვიშველის? აქაური საშინელი აღმოსავლეთის ქარი, რომელიც თითქმის ზამთარ-ზაფხულ განუწყვეტლივ ჰქრის, თუ მოაჯირს არ მოსჭიდე ხელი, მგონი მატარებლის მაგიერობას გაგიწევთ და მგზავრს შავის ზღვისაკენ გადაგტყორცნით, თუ ამას ისიც დაუმატეთ, რომ თუ წვიმა ან თოვლი არის, კიდრე მატარებელი მოვიდოდეს, მგზავრი გაფიჩხდება. ამისდა მიუხედავად ყოველ მატარებელზედ, ერთი მეორეზედ რომ ვიანგარიშოთ, ხუთი მაინც იქმნება წამსვლელ-მომსვლელი, და ამდენი რაოდენობა მგზავრისა ზოგს სადგურშიაც არ არის. სწორედ გასაჭირია ჩვენი მგზავრობა, უსათუოდ მგზავრობის დროს ავად უნდა გახდეს მგზავრი. ძლიერ კარგი იქმნება ამიერ კავკასიის რკინის გზათა მთავრობა ყურადღებას მიაქცევდეს მგზავრთა ამ უკიდურესს მდგომარეობას, პატარა თავ-შესაფარ ფარდულს გაგვიკეთებდეს და იმით გვიხსნიდეს ამ გაჭირვებისაგან. იმედია, ეს დიდადისი არ დარჩება უყურადღებოდ.

ალ. კობრეიძე

—

**მთის ოსები,** (კავკასის მაზრა). წელს ეღირსნენ მთის ოსებიც მთებში მოსვენებას მოზდოკის ღვთისმშობლის სასწაულთ-მოქმედის ხატისას, რომელიც მეთორმეტე საუკუნის დამლევს თამარ დედოფალმა გამოუგზავნა ოსებს, რათა ოსები უფრო მტკიცედ დამყარებულიყვნენ ქრისტიან სარწმუნოებაზედ. 21 აგვისტოს გამოსვენებული 16 სექტემბრამდის სულ ყველა მთებში დაატარეს წმ. ხატი; 16 სექტემბერს-კი მოასვენეს სანების სამრევლოში. სოფ. დარღავსის საზღვარზედ მიეგებნენ სანებლები თავიანთის მღვდლით. დიდიან-პატარაიანათ ყველანი მოუთმენლად ელოდნენ სასწაულთ-მომქმედს ხატს. წმ. ხატი სამს ღამეს დარჩა სანების სამრევლოში. ამ სამრევლოში მაჰმადიანთ სარწმუნოების ოსებიც სცხოვრობენ და აგრეთვე ქრისტიანობიდგან მიქცეულნიც. საკვირველი ის იყო, რომ წმ. ხატს, არამც თუ ქრისტიანები, მაჰმადიანებიც დიდის მოწიწებით ეგებებოდნენ, მომეტებულად დედათაგანნი ცრემლის ღვრით და მუხლ-მოდრეკით ევედრებოდნენ და შანებს უძღვნიდნენ. ამ სამრევლოს მღვდელი ნ. ზაგურაძე მაჰმადიანთ არიგებდა და უხსნიდა ამ წმ. ღვთის მშობლის ხატის სასწაულებს. ზოგ-ზოგნი მაჰმადიანნი ისეთს გრძნობაზედ მოვიდნენ მ. ზაგურაძის ჩაგონების გამო, რომ ზარაგლისიც გადასხდვენეს. თვით მუხლის თავებზედ დაჩოქილები იყვნენ ხატის წინაშე და გულზედ ხელები ჰქონდათ დაკრეფილი.

სოფ. ხიდიყუსში ერთმა სამოცდაათი წლის მაჰმადიანმა ოსმა მართლ-მადიდებლობა მიიღო. სანების სამრევლოშიაც ბევრს მაჰმადიანს აუჩვილდათ გული და გადმოაგდეს ცხარე ცრემლი. სანების სამრევლოში ერთი ზედ მიწერილი სოფელი არის, სახელდობრ „მარიამის სოფელი" (მაირამყაუ). როცა თამარ დედოფალს გამოუგზავნია ოსებისათვის ეს ძვირფასი საჩუქარი, ღვთის მშობლის სასწაულთ-მომქმედი

---

რო მეტი და მდიდარია. ამიტომ ჩვენ ბეითლობიდგან დავიწყებთ. ხოლო ვიდრე რუსეთის ბეითლობის ისტორიას შევეხებოდეთ, ორიოდე სიტყვით მოვიხსენიებ ,,პასტერის ასაცრელ სითხის დასამზადებელ ფრანგთა საზოგადოებას", რომელსაც განაგებს პარიჟის პასტერის ინსტიტუტის ერთის განყოფილების უფროსი. რუსეთში ნიჟნი-ნოვგოროდში არის დაარსებული ამ საზოგადოების ლაბორატორია.

პასტერის ასაცრელ სითხის დასამზადებელ საზოგადოების ნიმუშებს სამეცნიერო განყოფილებაში უჭირავს არა მცირე ალაგი, რომელიც საუცხოვოდ არის მორთული. ნიმუშებს შორის მშვენიერს ჩარჩოში ჩასმულია გამოჩენილ მეცნიერის პასტერის მიმზიდველი სურათი. ამ შესანიშნავ მეცნიერის ქანდაკებას ყოველ მხრივ შემორტყმია მისის საკუთარის ჭკუა-გონების ნაყოფის სურათ-ნიმუშები. რუსეთის ლაბორატორიაში ვაქცინები (ასაცრელი სითხე) მზადდება პარიჟის ინსტიტუტიდგან მიღებულ მასალიდგან; მთელს რუსეთში მონოპოლია ამ საზოგადოებას ეკუთვნის, ამათ გარეშე ვერავინ დაამზადებს გასასყიდად; გამოფენილია სხვა-და-სხვა სენის და ჭირის კულტურა, გამოხატულია მისი სახე-მდგომარეობა. აქვე მოვიყვანთ ცალკ-ცალკე ნიმუშების სახელებს ტერმინების დაცვით და მერე ვიტყვით, როგორც ჰხმარობენ ასაცრელ სითხეს. charbon coulte de saug, culture de 36 heures (36საათის კულტურა), შემდეგ6 დღის; Vibrion septique, sang Rouget du pore, Rouget du Pore foie de pigeon, leucocyt agant englobé de bacilles და სხვ. სახელების ჩამოთვლასთან თვით სურათების და ნიმუშების დანახვა რომ იყოს მკითხველისთვის შესაძლო, ამ საგნის გაცნობას ძალა მაშინ ათჯერ მოემატება.

ლაბორატორიაში პარიჟიდგან ჩამოტანილი და დამზადებული სითხე დანიშნულია ცხოველების ასაცრელად, რომ ამ საშუალებით ცხვარს, ხარს, ძროხას, თხას, ცხენს და სხვ. ამგვართ ააშორონ ციმბირის ჭირი ანუ ჯილეხი. ამ ჭირის საშინელი მმუსრავი ძალა ყველამ კარგად ვიცით. ამის ასაშორებლად და საწინააღმდეგოდ ასაცრელად საჭიროა ორი ერთიმეორეზედ მომყოლი ოპერაცია: პირველი ვაქსინა (პირველი ასაცრელი სითხე) მიღებისთანავე უნდა აუცრათ. მეორე ვაქსინა (მეორე ასაცრელი სითხე) პირველ აცრის 12—15 დღის შემდეგ. მეორე ვაქსინა არას დროს არ უნდა დაასწროთ პირველს; ამგვარ შეცდომას შეუძლიან იმსხვერპლოს ცხოველი. ასეთის წამლობის შემდეგ ჯილეხი ვერასა იქმს. ასაცრელი სითხე იგზავნება დაპირებისამებრ შუშის პაწია ჭურჭლებში. ეს სითხის წინდაწინვე განსაზღვრული ნაწილი კანის ქვეშ უნდა შეუშხაპუნოთ პირუტყვს. ამისათვის საზოგადოდ იხმარება პრავაცის ცნობილი შესაშხაპუნებელი, რომელსაც ექიმები და ბეითლები ჰხმარობენ. ჯერ ეს შესაშხაპუნებელი უნდა აივსოს სითხით; ამისთვის ნემსს გამოეცლება წვრილი მავთული შიგ მტვერის ასაშორებლად ჩადებული; შემდეგ ნემსს ამაგრებენ შესაშხაპუნებელზედ და წინდაწინვე კარგად ამღვრეულ სითხეს შეიტანენ შესაშხაპუნებელში. რცა შესაშხაპუნებელი სითხით აივსება, ზედვე მიმაგრებულ რგოლით დანიშნავთ ადგილს სადამდის უნდა დავიდეს სითხე შეშხაპუნების დროს და იწყებთ წამლობას. ერთი დაიჭერს ცხვარს წინა ფეხებით, მეორე მარჯვენა ბარკლის შუა ალაგას შეუშხაპუნებს სითხეს. ამგვარად ერთის საათვის განმავლობაში შეიძლება 150 ცხვარს უწამლოთ. ორის კვირის შემდეგ მეორე ვაქსინას შეუშხაპუნებთ, მხოლოდ მეორე ბარკლის შუა ალაგას (ერთს და იმავე ალაგას ორივავე სითხის ხმარება არ შეიძლება). მსხვილ ფეხა პირუტყვებზედაც ამავე წესით ჰხმარობენ სითხეს, ამგვარადვე უცრიან და განსხვავება იმაშია, რომ სითხე უკანასკნელთ უფრო მეტი სჭირიათ. აგრეთვე ასაცრელი ადგილიც იცვლება: ძროხას და ხარს—ბეჭის უკან, ცხენს—კისერზედ. პირველად უნდა აეცრას მარჯვენა მხარეს, მეორეთ მარცხნივ. რადგან მსხვილ-ფეხა პირუტყვების კანი მაგარი და ნემსისთვის ძნელი გასავლელია, ნემსს სიფრთხილით ხმარება უნდა. ნემსის გატარების დროს უმჯობესია, თუ ხელით შეჰკეცავთ კანს, ამით ნემსს გაუადვილდება გავლა. შეშხაპუნების დროს სახეში უნდა იქონიოს ამცრელმა, რომ ხმარებული იარაღი მეტად წმინდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ზედმეტი უსუფთაო ელემენტი წამალს ძალას სულ მთლად დაუკარგავს. ყოველისავე ხელსაწყოს, სითხის და სხვ. გამოწერა და მიღება ნიჟეგოროდის ლაბორატორიის დირექტორისაგან შეიძლება. წვრილ-ფეხას აცრა პირველად და მეორეჯერ ერთად ჯდება შვიდი კაპ., მსხვილ-ფეხასი—20 კაპ.

მალაქია ბოლქვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხატი აქ, ამ მარიამის სოფელში სვენებულა სოფლის შუაში, (იმიტომ ეძახიან „მარიამის სოფელს") სადაც ეკლესიას მოსწრებიან ღრმად მოხუცი ოსები. ახლა თუმცა ამ ადგილას ეკლესია აღარ არის, მაგრამ ნაეკლესიარი კიდევ ეტყობა. ამ ძველ ადგილას ამ სოფელმა თავიანთის მღვდლის ნ. ბაკურაძის ჩაგონებით გადასწყვიტეს სამლოცველოს აშენება ღვთის მშობლის სასწაულთ-მომქმედის ხატის მოსვენების სახსოვრად. ამასთან სანების სამრევლომ განაჩენი დაადგინა, სამრევლოსაგან იმათს ეკლესიაში წმ. ხატის მოსვენებისავე მათ ეკლესიაში სახსოვრად. წმ. ხატი 19 სექტემბერს სოფ. გიზელამდის დიდის ამბით გააცილეს სანებლებმა. ძალიან კარგს ინებებდა სასულიერო მთავრობა, რომ განკარგულებას მოახდენდნენ და ორ-სამს წელიწადში ერთხელ მაინც მოასვენებდნენ ხოლმე ხატს მოზდოკის („ივერიის") ღვთის მშობლისას მთის ოსების სოფლებში ისე, როგორც წელს.

12, 13 და 14 სექტემბერს საკმაოდ ჩამოგვითოვა კავკასიონის მთები და ამიტომ ამ ჟამად ღამ-ღამე სიცივეებია.

ქართველი ოსებში

# რუსეთი

—

მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა დაუწყია მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, რომ ნება მოგვეცით ამ შემოდგომას კრება გავმართოთ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა წარმომადგენლებისაო.

— ნოემბერში დაიწყებს მუშაობას უმაღლესს სასოფლო-სამეურნეო განათლების გავრცელების შესახებ დაარსებული კომისია მიწად-მოქმედების მინისტრის თავმჯდომარეობით.

— მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ნება დაურთავს ესტლიანდიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისთვის მომავალ წელს ქ. რეველში გაჰმართოს მესამე გამოფენა სასოფლო-სამეურნეო საგნებისა.

— საერო განათლების სამინისტროში აღძრულია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ მთავრობამ მომეტებული ყურადღება მიაქციოს კერძო სასწავლებლებს, ვიდრე დღემდის ჰქონდა მიქცეული. ამ აზრით კერძო სასწავლებელთა მოსწავლეებმა საჭირო ეგზამენი უნდა გადიხადონ ხოლმე სახელმწიფო სასწავლებლების მასწავლებელთა თანადასწრებითაო.

— ფინანსთა სამინისტროს 2 მილ. მან. გადაუდვია 1900 წლის პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ რუსეთის განყოფილების მოწყობა მომართვისათვის.

— მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდის საზღვარ-გარეთ სხვა-და-სხვა საქონელი 100 მილ. მან. მეტი გაუტანიათ, ვიდრე შემოუტანიათ.

— ცნობილ კალოს, რომელმაც აღმოაჩინა საშუალება კუზის გასწორებისა, მიელიან მოსკოვში დეკემბერს. კალოს კანჭრახვა აქვს თურმე თავის გამოგონილ საშუალებით უწამლოს ავადმყოფებს მოსკოვის სადოსტაქრო და სხვა საავადმყოფოებში.

— 1898 წელს განზრახვა აქვთ რუსეთის მკურნალთა კრება გაჰმართონ ქ. პეტერბურგში კეთრის ავადმყოფობის შესახებ მოსალაპარაკებლად.

# უცხოეთი

—

**ავსტრია.** ავსტრიის პარლამენტი არა სცხრება. გაცხარებული ბრძოლა გრაფ ბადენის კაბინეტის მომხრეთა ეგრედ წოდებულ მემარჯვენეთა და ოპოზიციის—გერმანელთა საეროვნო დასს შორის დღითი დღე თუ არ ჰმატულობს, არა ჰკლებულობს. პარლამენტის კრება ყოველდღე დილის 10 საათიდგინ დაწყებული საღამოს 10 საათს და ხშირად შუაღამის 12 საათამდე გასტანს ხოლმე და ამდენს დროს პატივცემული დეპუტატები უმეტეს ნაწილად ერთმანეთ შორის დაუსრულებელ კამათსა და საქმისთვის არა სასარგებლო ბრძოლას ანდომებენ. პარლამენტის მიერ განსახილველი უმთავრესი საგნები, როგორც, მაგალითად, უნგრეთთან მორიგების საქმე, რომელიც რაც შეიძლება, მალე უნდა იქმნას განხილული და დაბოლოვებული, ჯერ ჯერობით ვერ ეღირსა პარლამენტის ყურადღებას და უთუოდ კიდევ ბევრი დრო გავა, ვიდრე ეღირსება. გერმანელთა საეროვნო დასს, რომელიც ამ ჟამად პარლამენტში ოპოზიციას შეადგენს, ყოველდღე პალატაში ახალ-ახალი საგნები შეაქვს განსახილველად, ისეთი საგნები, რომელიც მაინც და მაინც ძალიან საყურადღებო არ არიან და რომელთა განხილვა შემდეგაც შეიძლებოდა. ეს კიდევ არაფერი. ყოველის საგნის განხილვის დროს ოპოზიციის მომხრე ყველა ორატორი ვალდებულად სთვლის თავისს თავს, რომ სიტყვა ორს, სამს და ხანდახან ხუთს საათსაც გასჭიმონ ხოლმე. ასეთის პოლიტიკის წყალობით პარლამენტი იძულებულია დრო წვრილმან საქმეებს მოანდომოს, ხოლო უმთავრესი საქმეები, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, შემდეგისათვის გადასდოს. მაინც ჯერ ჯერობით ბადენის სამინისტრო და იმისი მომხრე მემარჯვენენი იმარჯვებენ, ხოლო ოპოზიცია პირში ჩალა გამოვლებული რჩება. მთელი წარსული კვირა პარლამენტმა გრაფის ბადენის სამინისტროს სამართალში მიცემის საქმის განხილვას მოანდომა. ეს წინადადება ოპოზიციამ შეიტანა. სამინისტროს სამართალში მიცემის მიზეზად ოპოზიცია მრავალს საბუთს ასახელებს, ხოლო უმთავრესად ორს—გრაფ ბადენის განკარგულებას, ჩეხთა ენის უფლებათა გაფართოვების შესახებს, და იმისავე ეგრედ წოდებულს „საიდუმლო ბრძანებას". პირველის შესახებ ჩვენ რამდენჯერმე გვქონდა ლაპარაკი. ასე რომ მკითხველებმა უკვე იციან იმისი შინაარსი, ხოლო ამ უკანასკნელის გამო ჯერ არაფერი გვითქვამს. ეს საიდუმლო ბრძანება გრაფ ბადენმა ამ წლის 2 ივნისს გასცა, როდესაც პარლამენტის წარსული სესსია დაბოლოვდა. ჩეხელთა ენის შესახებ განკარგულებით გაჯავრებულმა გერმანელთა საერო დასის დეპუტატებმა განაცხადეს მაშინ, რომ სამინისტროს წინააღმდეგ ხალხს ავაჯანყებთო. ამის გამო გრაფ ბადენმა მისწერა ავსტრიის ყველა ოლქის უფროსებს, იმ ადგილებში, საცა კრებები იქმნება და საცა ზემოხსენებული დეპუტატები ილაპარაკებენ, გამოცდილი და მოხერხებული კაცები გაგზავნეთო, რომ თვალ-ყური ადევნონ ორატორებს და სისხლის სამართალში მისცენ, თუ ვინიცობაა სახელმწიფოს წინააღმდეგ სთქვეს რამეო. ამასთანავე ამ კაცებს ანუ კამისარებს სასტიკადა ჰქონდათ აღკრძალული ორატორებს სიტყვა არ შეაწყვეტინონ, რადგანაც მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება კანონის ძალით მათი სისხლის სამართალში მიცემა, თუ სიტყვას ბოლომდის დაათავებენო. აი, სწორედ ეს არ ესიამოვნა ავსტრიის გერმანელთა საერო დასს და წინადადება შეიტანეს, რომ ბადენი სამართალში იქმნას მიცემულიო. საერო დასის სიტყვით, ბადენი თავისის ბრძანებით მოხელეებს აიძულებდა დანაშაული ჩაედინათ და ისე შეეპყროთ ბადენისთვის არა სასიამოვნო ორატორები. როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, პარლამენტი სამინისტროს სამართალში მიცემის შესახებ წინადადების განხილვას მთელი წარსული კვირა მოუნდა. ბევრს ლაპარაკობდნენ ოპოზიციის ორატორები, რომელთაც ბადენი და მთლად სამინისტრო სახელმწიფოს კანონების დამარღვევლად აღიარეს. მემარჯვენეთა ანუ სამინისტროს მომხრე დასის მხრივ ილაპარაკა ჩეხთა დეპუტატმა ჰეროლდმა. მან უმთავრესი ყურადღება ჩეხთა ენის შესახებს განკარგულებას მიაქცია და, სხვათა შორის, სთქვა, რომ მთავრობა ამ შემთხვევაში კანონიერად და სამართლიანად მოიქცაო. „ის, რაც ამ ჟამად ავსტრიაში ხდება, უბრალო კამათი და დასთა შორის შეტაკება არ გეგონოთ მხოლოდ, სთქვა ორატორმა, ეს არის დაჩაგრულ ერთა ბრძოლა გაბატონებულთა წინააღმდეგ. ვიდრე აწ არსებული წეს-წყობილება არ მოისპობა და ვიდრე ერთა შორის თანასწორობა არ იქმნება დაწესებული, მანამდის ჩვენი სახელმწიფო არ დაწყნარდება და ბრძოლა მუდამ იქმნებაო". ბოლოს, 8 ოქტომბერს, პალატამ 161 ხმის უმეტესობით 141 ხმის წინააღმდეგ არ შეიწყნარა ოპოზიციის წინადადება და საჭიროდ არა სცნო გრაფ ბადენის სამინისტროს სამართალში მიცემა.

# ნაკვესი

—

— მერე, ასესხე ფული?

— რას ვასესხებდი! ასე ვუთხარი: წადი, ჩემზედ სულელი მონახე ვინმე, ის გასესხებს-მეთქი.

— ხა, ხა, ხა! ეგ რა კარგი გითქვამს! ძნელად თუ მაგისთანა კაცი იპოვნოს სადმე...

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ყველამ კარგად იცის, რა არის სიკვდილი. სულიერი არსება ჰსუნთქავს, სჭამს, მრავლდება, მოძრაობს, ხმაურობს, სცოცხლობს. შეხვდა ავადმყოფობა, დასუსტდა, დაუძლურდა და მოკვდა. პირველად მკვდარი არსება იმდენადა ჰგავს ცოცხალს, რომ ადამიანს არც-კი სჯერა—მოკვდაო. ცოტა ხანს შემდეგ კი გვამი ისე გამოიცვლება, რომ პირიქით ადამიანს უკვირს, ნუ თუ ეს მძორი ოდესმე ცოცხალი იყოვო. სიცოცხლესა და სიკვდილს შორის დიდი სამზღვარია. სიცოცხლე ინახავს სხეულს, ამუშავებს, სიკვდილი—ჰშლის, ანაწილებს სხეულს და სპობს სიცოცხლეს. სხეული ნაწილ-ნაწილად იქცევა. მაგრამ არც ერთი მცირე ნაწილი არ იკარგება. ბუნება ამ ნაწილებს ისევ გამოიყენებს და ისევ შექმნის სიცოცხლეს. ასეთია ბედი ცხოველთა და ცხოველთა მეფის ადამიანისა. სიკვდილისაგან ვერა იხსნის რა.

ამასთანავე ერთად ჩვენთანვე სცხოვრობს აუარებელი არსება, რომელიც არა კვდება, ან თუ გნებავთ კვდება, მაგრამ ისე—კი, რომ მაინც უკვდავია. ვხედავთ სიცოცხლეს და არა ვხედავთ სიკვდილს და თუ ამ არსებათა ბოლო სიკვდილია, ამ სიკვდილს უკვდავება უნდა ერქვას.

აბა დააკვირდით იმ პაწია ცხოველებს, რომელთაც მეცნიერება სახელად ინფუზორიებს უწოდებს. აიღეთ ერთი წვეთი წყალი და გასინჯეთ მიკროსკოპით. ამ ერთს წვეთში სიცოცხლე სდუღს. აუარებელი ინფუზორია სცხოვრობს, სჭამს, იზრდება, ერთმანეთსა ჰხოცავს აქვე ადამიანის თვალწინ. უკვდავნი არიან ეს ინფუზორიები, თუ მომაკვდავნი? აი რას გვიპასუხებს მეცნიერი ვისმანი: ეს ინფუზორიები მომაკვდავნიც არიან და ამავე დროს უკვდავნიცო. აიღეთ ეს წვეთი წყალი და მზის შუქი მიაყენეთ. წყალი დაშრება და მთელი მილიონი ინფუზორია, რომელიც შიგა სცხოვრობდა, მტვრად იქცევა. მაგრამ ამით ნუ დავასრულებთ ჩვენს გამოკვლევას. ამოვიყვანოთ ამ ერთის წვეთის წყლიდგან მხოლოდ ერთი ინფუზორია და მივსცეთ საკმაო სინათლე წყალი და საჭმელი და შემდეგ დავაკვირდეთ, რა მოუვა ამ ინფუზორიას. სულ არ გაივლის ერთი საათი, რომ საოცარი სანახავი წარმოგვიდგება თვალ-წინ. ინფუზორია იწყებს გამრავლებას, გაიზრდება და ორად გადიპრება. ეს ორი ნახევარი ერთის ინფუზორიისა ცალ-ცალკე სცხოვრობს, სჭამს, მოძრაობს, იზრდება. ეს დაყოფა ორად ერთის ინფუზორიისა ადამიანის თვალწინა ჰხდება და ძლიერ მსწრაფად. ზოგი ინფუზორია 15 წუთში გაიზრდება და ორად გაიყოფა. თითო მათგანი მაშინვე შეუდგება ერთად ერთს თავისს საქმეს—ჭამას. აშკარაა, რომ თითოეული ეს ინფუზორია ნაწილია ასეთისავე ინფუზორიისა. მაშასადამე, ინფუზორია-კი არ მოკვდა, ორად გაიყო მხოლოდ, განახლდა, და ისევა სცოცხლობს. შესაძლებელია თუ არა ამ სიცოცხლეს უკვდავება ეწოდოს? დიაღ, უკვდავება არისო, ამბობს მეცნიერი ვისმანი. მართლაც და ინფუზორია ხომ არ მომკვდარა, არ შეცვლილა, იგი მხოლოდ ორად გაიყო და სცოცხლობს; ეს ინფუზორიებიც მერე თითო ორად დაიყოფა და იცოცხლებს. პირველი ინფუზორია მხოლოდ იზრდებოდა, იყოფებოდა ნაწილ-ნაწილად და არ მომკვდარა-კი. აი ესეც თქვენი უკვდავება და, თუ გნებავთ ამავე დროს სიკვდილიც. უკვდავებაა აქ იმიტომ, რომ ერთი არსება არ მომკვდარა და სიკვდილია იმიტომ, რომ ის არსება იგივე აღარ არის და სხვა ორ არსებად გადაიქცა. სიკვდილი აშკარაა აქ, მაგრამ მკვდარი, ლეში, მძოვრი არსადა სჩანს და ამიტომ შეიძლება ვსთქვათ, რომ ინფუზორია არ მომკვდარა.

განვაგრძოთ კიდევ გამოკვლევაო, ამბობს იგივე მეცნიერი: ვსთქვათ, ის ერთი წვეთი წყალი, რომელშიაც ინფუზორიები სცხოვრობდნენ, დაშრა. ინფუზორიები დაიხოცნენ, მტვრად იქცნენ. მტვერი ნიავმა წაიღო და წყალში ჩაჰყარა. მტვრად ქცეული ინფუზორია ისევ გაცოცხლდება, კვლავ დაიწყებს მოძრაობას, ჭამას, ზრდას, გამრავლებას. სჩანს ინფუზორია სრულებით არ მომკვდარა. ადამიანი-კი უეჭველად კვდება სხეული იხრწნება, არავინ იცის დაბეჯითებით, კვლავ გაცოცხლდება იგი თუ არა, და თუ გაცოცხლდა კიდეც, იმ სახისა აღარ იქმნება, რა სახისაც უწინ იყო. მეორე მეცნიერი ბიუჩლი ამაზედ შემდეგ პასუხს გვაძლევს. ინფუზორია გაიყო ორად, მაშასადამე ის აღარ არის, რაც უწინ იყო. პირველი ინფუზორია მოკვდა, აღარ არსებობს. სიკვდილი მხოლოდ სახის შეცვლასა ჰქვიან, მძოვრად გადაქცევას. მესამე მეცნიერი, გვარად მოპა, ვისმონის გამოკვლევით არ დაკმაყოფილდა. აიღო ისევ ის წვეთი წყალი, ამოიყვანა ერთი ინფუზორია და შეუდგა გამოკვლევას მიკროსკოპის შემწეობით. ინფუზორია გაიყო ორად, მერე თითო კიდევ ორად და ამ გვარად რამდენსამე დღის განმავლობაში გაჩნდა ინფუზორიის მეექვსასე ჩამომავლობა. შემდეგ ეს ჩამომავლობა, დასუსტდა, დაუძლურდა, დაბერდა, აღარ გამრავლდა და ამოწყდა. მაშასადამე, არც ინფუზორია ყოფილა უკვდავი. მაშ თუ ასეა იკითხავს მკითხველი, რატომ არ მოისპო დედამიწის ზურგზედ ინფუზორიები? იმიტომ არ მოისპო, რომ დაყოფით გამრავლების გარდა, ინფუზორია სხვა ფრივაც მრავლდება, სწორედ ისე, როგორც დიდი ცხოველები. ორი ინფუზორია უახლოვდება ერთმანეთს, ერთი მეორეს უერთდება, უხორცდება და ინფუზორიიდგან იბადება ერთი განახლებული ახალგაზდა, მომეტებულის ძალ-ღონით სავსე ინფუზორია, იზდება, მერე ორად იყოფა და მრავლდება. ამ გვარად, თუ ინფუზორიის ცხოვრებას და გამრავლებას დაუკვირდება კაცი, შესაძლოა სთქვას, რომ ინფუზორია უკვდავია.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

15 ოქტომბერი.

**ტამბოვი.** 12 ოქტომბერს კოზლოვსკის მაზრის სოფ. ხმელევაში ეკკლესიის კურთხევის წინა ღამეს, როდესაც ეკკლესია სავსე იყო ხალხით, გაისმა ხმა: „ცეცხლიო"! შიშით აირია ხალხი, და მიაწყდა ერთმანეთს. ამ არეულობაში 54 კაცი გასრისეს და 80 კი მძიმედ არის დაშავებული.

**პეტერბურგი.** 14 ოქტომბერს წავიდნენ პეტერბურგიდგან აბაშეთს (მოსკოვითა და ოდესით) რუსეთის პირველი საგანგებო ელჩები. ელჩებს ოცი ყაზახი მისდევს.

**ვენა.** პალატა. პრეზიდენტმა კატერანმა წერილით განაცხადა, რომ თავს ვანებებ პალატის პრეზიდენტის თანამდებობასაო.

**ბუდაპეშტი.** პალატის კრებანი გადაიდო 22 ოქტომბრისათვის.

**კონსტანტინეპოლი.** გამოქვეყნებულ იქმნა სამი ირადე: პირველში ნათქვამია, რომ ნება დართულია ბოლგარიის კიუსტენდილის რკინის გზა შეუერთდეს კუმანოვოს სადგურს; მეორეს საგნად აქვს ბოლგარიის რვა სავაჭრო აგენტის დანიშვნა. მაკედონიასა და ადრიანოპოლის ნაწილში; მესამე შეხება პატიებას 14 ბოლგარელისას, რომელთაც პოლიტიკური დანაშაულებანი ჰბრალდებათ. რაც შეეხება იმ საგანს, რომ ბოლგარიის ეპისკოპოსებს ბარათები მიეცეს, ეს საგანიც ამ ახლო ხანებში გარდასწყდება.

Дозволено цензурою, Тифлисъ 15-го Октября 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.